პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 22 (14018) | შაბათი, 27 იანვარი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

საკავშირო პირველი პრემია

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“ ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივია რესპუბლიკაში. კომბინატის კოლექტივი წარმატებით ებრძვის ხუთწლედის ვადაზე ადრე შესრულებისათვის და სისტემატურად ანადგებს ნაკისრ ვალდებულებებს.

განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვა „საბჭოთა საქართველომ“ გასულ ხაუბილეო წელს. საწარმომ ყველა მაჩვენებლით გადააჭარბა გეგმას და ასეულ ათასობით მანეთის ზეგეგმითი მოგება მიიღო. სწორედ ამ კარგი შრომის შედეგია ის სასიხარულო დეპეშა, რომელიც გუშინ კომბინატის სახელზე მოვიდა.

საიუბილეოდ გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის 1967 წლის მეოთხე კვარტლის შედეგების მიხედვით კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივს მიეკუთვნა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობისა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სურათებზე: ზემოთ — ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი ა. ლურსმანიშვილი; ქვემოთ — ანძების დამყენებელთა ბრიგადა, რომელსაც ა. პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს, ამოწმებს იზოლატორების დამაგრებას.

ანძებზე ენგურისაკენ მიაბიჯებენ

ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო სვანეთის ქედის მთისწინებში ენგურჰესის გიგანტური თაღოვანი კაშხალის მშენებლობა, რომ დაბა საბერიოხაკენ, სადაც მძლავრი მიწისქვეშა ჰიდროელსადგური აიგება, საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან უკვე „გემართნენ“ მომავალი გადამცემი ხაზისათვის ბუმბერაზი ანძები.

ამ ხაზის სიგრძე 800 კილომეტრი იქნება. ასეთი მძლავრი ელექტროხაზი, რომლის ძაბვა რამდენიმე ათასი ვოლტია, კავკასიაში პირველად გაჰყავთ. ენგურჰესი მწყობრში რომ ჩადგება, ეს ხაზი უზრუნველყოფს დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში ელექტროენერგიის გადაცემას.

ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ მშენებლებმა და მემონტაჟეებმა, რომლებსაც ელექტროხაზი უდგიეტიხილებზე, მთის ტბორქარ ადგილებზე, ტყეებზე, ლიახვზე, ყვირილასა და რიონზე გადაჰყავთ, უკვე შეასრულეს 500.000 კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაოები, დადგეს 540 ლითონის საყრდენი, რომელთა საერთო წონა 8.500 ტონაა. ტრასაზე „ჰაერში ასწიეს“ 2.600 ტონა ფოლადალუმინის სადენი.

მშენებლობაზე საინტერესო სიახლეც არის — სპეციალურად გაძლიერებული გარდამავალი საშუალედო საყრდენები პტ-45, რომლებიც ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ თბილისის ლითონკონსტრუქციები ს ქარხანამ დაამზადა. ეს 45-მეტრიანი ბუმბერაზები, რომლებმაც „თბილისურის“ სახელწოდება მიიღეს, პირველად „მიაბიჯებენ“ ჩვენი სამშობლოს ბოლო მიმართულებით — ბოლო მიმართულებით — ბათუმამდე. [illegible] ელექტროხაზის მშენებლობაზე განსაკუთრებით გამოიჩინა თავი № 54 მექანიზებული კოლონის კოლექტივმა, რომელსაც სათავეში უდგანან საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერები ლ. კალანდაძე და გ. წულუკიძე. თავდადებით იშრომეს სამუშაოთა უფროსი მწარმოებლების ი. იმნაძის, გ. მეტრეველის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა, ზემოსვლილი მემონტაჟეების ბრიგადებმა, რომლებსაც ა. ლურსმანიშვილი, ა. პეტრიაშვილი, ს. ხაჩიძე, ა. ნოვიკოვი ხელმძღვანელობენ.

მაღალძაბვიანი ხაზის ანძებმა უკვე ზესტაფონს მიაღწიეს.

ს. კილაძე.
ფოტო ავტორისა.

კოლხიდის მიწაზე

მიმდინარე ხუთწლედში ფართო მასშტაბის სამუშაოები განხორციელდება კოლხიდაში. დაქაბილებული დაბლობის დაშრობა და ათვისება ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. განუწყვეტლივ ისმის ტრაქტორების, ბულდოზერების, ამოსაძირკვი მანქანების გუგუნი. ტრესტი „კოლხიდმშენი“ დიდ სამელიორაციო სამუშაოებს აწარმოებს. მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერი მუშაკები იკვლევენ მრავალწლიანი ნარგავების გაშენების, მოვლა-მოყვანის ეფექტურ მეთოდებს.

დიდი ხანი არ არის, რაც ამოშრობილ კოლხეთის მიწაზე შეიქმნა საბჭოთა მეურნეობები — „კოლხეთი“ და „განთიადი“. ამ მეურნეობებში დიდი მუშაობა მიმდინარეობს სუბტროპიკული კულტურების გაშენებისათვის. კოლხიდის მიწაზე უახლოეს წლებში კიდევ შეიქმნება ოცი ახალი საბჭოთა მეურნეობა. კოლხიდა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების უდიდეს ცენტრად იქცევა. მაშინ იგი ქვეყანას მისცემს 160 ათას ტონა ჩაის ფოთოლს, 40 ათას ტონა მანდარინს, ლიმონს, ფორთოხალს, ათასობით ტონა დაფნის ფოთოლს, ეთერზეთოვან კულტურათა ნედლეულს, აბრეშუმის პარკს, ხილს.

(საკ. კორ.).

მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებას!

მექანიზატორები პირობას ასრულებენ

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მექანიზატორები, რომლებმაც საიუბილეო წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს, ჩვენი ქვეყნის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხუთწლედის მესამე წლის საგაზაფხულო სამუშაოებს მოუმზადონ ჯანსაღი ტექნიკა.

მექანიზატორებმა ითურვალედ დაუჭირეს მხარი ჩვენი ქვეყნის მოწინავე მექანიზატორთა პატრიოტულ თაოსნობას, რომ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დირსეულად შეხვედრისათვის, ხუთწლიანი გეგმია ვადამდე შეურულებისათვის და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულება. უკვე გამოჩნდნენ პირველი მოწინავენი. მაგალითად, აბაშას რაიონის მექანიზატორთა პირობაა საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე შეაკეთონ 19 ტრაქტორი. აბაშელი მექანიზატორები კარგად იყენებენ ზამთრის დღეებს და ბეჯითი მრომით პირობა უკვე გააცოცხლეს. რამონტი გაუკეთეს 22 ტრაქტორს და ამით გასული წლის მეოთხე და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 115,2 პროცენტით შეასრულეს.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს კარგად ასრულებენ აგრეთვე ადლიბების რაიონის მექანიზატორები. მათ უკვე შეაკეთეს 10 ტრაქტორი და ამით გასული წლის ეთოთხე და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ტრაქტორების რემონტის გეგმა 100 პროცენტით გაასაღდეს. ასევე ათჭმის ონის რაიონის მექანიზატორებზე.

სიღნაღის რაიონი წელს დიდად პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგას. მათი პირობაა საგაზაფხულო ხვნა-თესვის დროულად ჩატარების მიზნით რემონტი გაუკეთონ 145 ტრაქტორს. სიღნაღელი მექანიზატორები პირობის შესასრულებლად ბეჯითად მუშაობენ. სარემონტო სახელოსნოებში მთელ დღეს არ წყდება მუშაობა. ზვინკლები, ხარატები, მჭედლები რემონტს უკეთებენ ტრაქტორებს, სათეს მანქანებს, კულტივატორებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. იანვრის მესამე დეკადისათვის რაიონში ტრაქტორების რემონტის გეგმა შესრულებული იყო 66,2 პროცენტით.

გურჯაანის რაიონში 116 ტრაქტორიდან შეკეთებულია 83 ტრაქტორი, ქარელის რაიონში გასული წლის მეოთხე და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ტრაქტორების რემონტის გეგმა შესრულებულია 59,5 პროცენტით, ხაშურის რაიონში — 52,8 პროცენტით, ახალციხის — 50, ახმეტის — 47,5, ყვარლის — 75,8, ლაგოდეხის — 47,6, ბარდავის — 52,8, წალკის — 42,3, დუშეთის — 57,6, თეთრი წყაროს — 56,9, სამგორდის — 67,6, ვანის — 76,9, მაიაკოვსკის — 66,7, ორჯონიკიძის — 71,4, თერჯოლის — 50, ცხინვალის — 70,9, ბებეპორის — 59,5, მახარაძის — 55,8, ჩოხატაურის რაიონში — 37,5 პროცენტით, ჰიალთრავი — 60 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 57,8 პროცენტით და სხვ.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ტრაქტორების რემონტი ყველგან როდია დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. საჭიროა მთელი ძალღონე და უნარი მოვახმაროთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას და ღირსეული წვლილი შევიტანოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში.

ა. ნ. კოსიგინი ინდოეთში

დელი, 26 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც ინდოეთში იმყოფება ოფიციალური ვიზიტით, დღეს დაესწრო სამხედრო პარადს, რომელიც დელში გაიმართა ინდოეთის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის დღის გამო.

საბჭოთა მთავრობის მეთაური პარადზე მივიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის თანხლებით. საპატიო საბჭოთა სტუმარს გულთბილად მიესალმა ათასობით კაცი, რომლებიც შეიკრიბნენ პარადის სანახავად.

სამხედრო პარადი, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა გვარეობის ჯარების ქვეგანაყოფები, მიიღო ინდოეთის პრეზიდენტმა დოქტორმა ზაქირ ჰუსეინმა. მთავრობის ტრიბუნაზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, ინდირა განდი, აგრეთვე ინდოეთში მყოფი იუგოსლავიის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო.

სამხედრო პარადის შემდეგ, რომელმაც დაახლოებით ერთ საათს გასტანა, რაჯპათჰის მაგისტრალით ჩაიარეს ინდოეთის 17 შტატისა და მოკავშირე ტერიტორიების წარმომადგენელთა კოლონებმა.

დელი, 26 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოების წევრებს. კონსტიტუციის კლუბი, სადაც ეს შეხვედრა მიმდინარეობდა, ხალხით იყო გაჭედილი. პრეზიდიუმში იყვნენ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი არუნა ასაფ ალი და სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ნ. მ. პეგოვი.

საპატიო სტუმარს მხურვალედ მიესალმა საზოგადოების თავმჯდომარე, ინდოეთის ყოფილი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. მენონი.

შემდეგ საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. კოსიგინმა.

დელი, 26 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა და ესაუბრა ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ჩავანს, თავდაცვის მინისტრს სვარან სინგჰსა და ვაჭრობის მინისტრს დინეშ სინგჰს.

საუბრები მიმდინარეობდა მეგობრულ ვითარებაში.

მესამე ეშელონი მაღანი

28 იანვარს კიროვაბადის ალუმინის ქარხანაში გაიგზავნა მესამე ეშელონი ზეგეგმითი ალუნიტის მადანი, რომელიც დაბა ალუნიტდაგის მაღაროში ამოიღეს. აზერბაიჯანელმა მაღაროელებმა, რომლებიც იღებენ ფერადი მეტალურგიისათვის საჭირო ამ ძვირფას ნედლეულს, კარგად დაიწყეს ახალი წლის პირველი დღეები და რეგულარულად ზრდიან მინერალის მოპოვებას. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით იგი უკვე თითქმის ოცი პროცენტით გაიზარდა.

ახლა მთებში მთავრდება მესამე საჰაერო-საბაგირო გზის დამონტაჟება, რომელიც ალუნიტდაგს დაუკავშირებს რკინიგზის სადგურ კუშჩინსკის ხიდთან. საჰაერო-საბაგირო გზის საექსპლოატაციოდ გადაცემა მაღაროელებს საშუალებას მისცემს შეუდგნენ საბადოს ახალი უბნის ათვისებას.

(საკდესის კორ.).

სტატისტიკის ფუსტი ენით

დილაადრიან იწყება ცხოვრება საბჭოთა კავშირის სასაღო მოხსრების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შემსწავლელ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

26 იანვარს ინსტიტუტის მანქანა-სასაგარაშო სადგურმა დაიწყო პიანინოს „გამოსნგარიშება“. მოსკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, უფაში, როსტოვში, კიროვში, ვოლგოგრადში, ხაბაროვსკსა და გორკში ინსტიტუტის სპეციალისტებმა წინასწარ გაავრცელეს ასობით ანკეტა. მათ კითხვებზე პასუხს იძლევიან მუსიკალური ინსტრუმენტების მაღაზიების მყიდველები, კასპირავებელი პუნქტების ამხრნენტები, იმ ბავშვების მშობლები, რომლებიც მუსიკალური სკოლების ფორტეპიანოს კლასში სწავლობენ. ახლა ანკეტები ჩადებულია მანქანებში. მათ შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რამდენი და რა მარკის ინსტრუმენტი უნდა ეამუშავან უახლოეს წლებში, რომელი უნდა მოიხსნას წარმოებიდან, სად შეიძლება წარმოების უფრო რაციონალურად მოწყობა.

მყიდველთა მოთხოვნა რთული მოვლენაა და დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე. 25 იანვარს ინსტიტუტის მუშაკებმა გამოიანგარიშეს, თუ რამდენი საქონელი იყიდება ახლა ჩვეულებრივ დღეს ჩვენს ქვეყანაში. აღმოჩნდა, რომ, მაგალითად, ყოველდღიურად იყიდება 135 ათასამდე პალტო. ეს 12 ათასით მეტია, ვიდრე გასული წლის იანვრის დღეებში. ზედა ტანსაცმელი, საცვლები და ფეხსაცმელი დღეში იყიდება 45 მილიონ 500 ათასი მანეთისა. ეს თითქმის 8 მილიონი მანეთით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს. მოსახლეობა ახლა დღეში იძენს 13.300 ტელევიზორს, 15.500 რადიომიმღებსა და რადიოლას, 11.300 სარეცხ მანქანას. შარშან ასეთი საქონელი გაცილებით ნაკლები გაიყიდა. რატომ?

— ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის რეალიზაცია, — თქვა ინსტიტუტის დირექტორმა ი. მ. ხრეკინმა, — უფრო სრულად ასახავს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ინსტიტუტში განხორციელებული შედარება დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ როგორ გაიზარდა მოთხოვნა ამ საქონლზე მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ პარტიისა და მთავრობის ახალ გადაწყვეტილებათა შესრულებასთან დაკავშირებით. ბევრ საბჭოთა ოჯახს შესაძლებლობა მიეცა შეიძინოს მეტი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სათანადო ნაწარმი. იზრდება მოთხოვნა აგვიჯეც, სპორტული საქონელზე, კვების უფრო კალორიულ პროდუქტებზე.

ინსტიტუტის სპეციალისტები სტატისტიკის ზუსტი ენით უპასუხებენ ახლა კითხვებზე: რამდენი და რა ფართო მოხმარების ნაწარმი დასჭირდება ჩვენს ქვეყანას მომავალ წელს, სამი წლის შემდეგ, შემდეგ ხუთწლედში. ეს კვლევა საშუალებას გვაძლევს მივცეთ მრეწველობას დასაბუთებული რეკომენდაციები საქონლის შემდგომი წარმოების თაობაზე. ასეთი რეკომენდაციები უკვე მიიღეს საწარმოებმა, რომლებიც ელექტრო და მექანიკურ სამართებლებს, საკერავ მანქანებს, ტრანზისტორულ რადიომიმღებებს, სასკოლო ფორმას უშვებენ. წინასწარ განისაზღვრება მყიდველის დამოკიდებულება ნაწარმისადმი, რომელიც ჯერ ნაკლებად ცნობილია. საქმე ეხება, მაგალითად, ისეთ საგნებს, როგორიც არის ჯბილის ელექტროჯაგრისები, ელექტროიატაკსარეცხ-იატაკსასუფთავები, ელექტროსანრები.

როცა დღეს მაღაზიაში შეხვალთ, იცოდეთ, რომ თქვენი თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო ნავაჭრი გათვალისწინებული იქნება. ინსტიტუტის მუშაკებს ეს უკარნახებს, თუ რის ყიდვას მოისურვებთ თქვენ ხვალ.

ე. ხორევა,
საკდესის კორ.

მოსკოვი.

ენერგეტიკული ბალანსი

ესტონური ფოსფორიტები

გეოლოგებმა ესტონეთში აღმოაჩინეს ფოსფორიტების ახალი დიდი ბუდობები. ბუნებამ, ჩვენი პროგნოზების მიხედვით, აქ სამას მილიონამდე ტონა ფოსფორიტი დაგროვა, უთხრა საკდესს კორესპონდენტს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გეოლოგიის სამმართველოს უფროსმა ა. კიეიტმა.

ახლა საბადომ კიდევ ერთი სიურპრიზით გაგვახარა — ფოსფორიტების ზემოთ აღმოჩენილია კირქვა, რომელიც ცემენტის ფასამზადებლად გამოდგება. მთელი ეს სიმდიდრე განლაგებულია ცემენტის ქარხნის „პუნანე კუნდას“ მახლობლად.

დონის ველის გაზი

ასტახოვის მოედანზე, კამენსკაშახტინსკის მახლობლად ველზე შადრევნად ამოხეთქა ბუნებრივმა გაზმა, რომლის საფეღამისო დებიტი დაახლოებით ასი ათას კუბურ მეტრს უდრის. იგი აღმოაჩინეს დონის ექსპედიციის წიაღის მზვერავებმა.

როგორც საკდესის როსტოველ კორესპონდენტს აცნობეს ვოლგა-დონის გეოლოგიის სამმართველოში, ეს უკვე ბუნებრივი გაზის მესამე სადაღოა, რომელიც ამ ბოლო წლებში აღმოაჩინეს დონის ველზე. (საკდესი).

მეგობარი ინდოელი ხალხის დღესასწაული

25 იანვარს მოსკოვში გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა ინდოეთის რესპუბლიკის 18 წლისთავს. კრების მონაწილეებმა ყოველივე საუკეთესო უსურვეს მეგობარ ინდოელ ხალხს.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხები ყოველთვის ცხოვრობდნენ როგორც კეთილი მეზობლები. ეს მეგობრობა დღითიდღე ფართოვდება და მტკიცდება.

მეგობარი ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. გ. გაფუროვმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობას საფუძვლად უდევს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, ბრძოლა კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. მოუმხრობლობის მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჯავაჰარლალ ნერუმ, ინდოეთს პატივისცემა და ავტორიტეტი მოუპოვა საბჭოთა კავშირში. ეს პოზიცია ემსახურება საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეს.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ინდოეთის რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ხ. თხანმა.

მუვიდობიანი ატომის მზვერავები

რიგა, 25 იანვარი. (საკდესის კორ.). დღეს ლატვიის დედაქალაქში გახსნა ბირთვული სენტრესკოპიისა და ატომური ბირთვის სტრუქტურის საკითხებადმი მიძღვნილი XVIII ყოველწლიური თათბირი. თათბირი მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ. საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში თათბირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ს. ჯელეპოვმა თქვა:

— განსახილველად გამოტანილ პრობლემებს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ბევრი მეცნიერის ყურადღებაც მიიპყრო. თათბირის 550 მონაწილეს შორის არიან არა მარტო საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები, არამედ უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, აშერიკის შეერთებული შტატებიდან, იუგოსლავიიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან და მთელი რიგი სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრებიც.

ექსპერიმენტული ფიზიკა უკვე ნახევარი საუკუნეა სწავლობს ატომურ ბირთვს, და ყოველ წელს ახალი, მეტად არსებითი შედეგები მოაქვს.

თათბირზე უნდა განვიხილოთ არა მარტო თეორიული ნაშრომები, არამედ ისეთი საკითხებიც, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ ტექნიკისა და სახალხო მეურნეობისათვის. მაგალითად, ამას განეკუთვნება რადიოიზოტოპების მიღებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული გამოკვლევები. ყოველწლიურად მსოფლიოში აღმოაჩენენ ხოლმე 10-15 ახალ იზოტოპს. როგორც წესი, ამ იზოტოპების მესამედი საბჭოთა კავშირის ლაბორატორიების წილად მოდის. უკანასკნელი წელიც გამონაკლისს არ წარმოადგენს. მრეწველობის სულ სხვადასხვა დარგში ინერგება რადიოიზოტოპების საფუძველზე შექმნილი მაღალეფექტური ხელსაწყოები და ავტომატები.

ანძა ენგურზე

ლონდონი, 26 იანვარი. (საკდესი). გუშინ ამერიკელმა სპეციალისტებმა პოლარული შტორმის გამო შეწყვიტეს ოთხი ატომური ბომბის ძებნა, რომლებიც ამერიკის სტრატეგიულ ბომბდამშენ „ბ-52“-ზე იყო. ამას იუწყება რეიტერის სააგენტოს გაშინგტონელი კორესპონდენტი. როგორც ვიცით, ამ თვითმფრინავს კატასტროფა შეემთხვა ტულეს მახლობლად.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უამინდობის გამო ჯერ-ჯერობით არ იციან, როდის განახლდება ამ ატომური ბომბების ძებნა.

როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, ფიქრობენ, რომ ერთი ან რამდენიმე ატომური ბომბი კატასტროფის დროს გიჟით და ახლა რადიაციას აკრცელებს გრენლანდის ნაპირებთან.

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 26 იანვარი. (საკდესი). თემთა პალატაში დამთავრდა ორი დღის დისკუსია საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. გუშინ გვიან საღამოს გაიმართა ატეხილობა. გუშინ გვიან საღამოს გაიმართა ეკენუსია. როგორც მესაღოდნელი იყო, ლეიბორისტებმა, რომლებსაც 100 ხმის უმრავლესობა აქვთ, მოიწონეს მთავრობის პოლიტიკა 327 ხმის უმრავლესობით. წინააღმდეგ იყო 227.

კამათი თემთა პალატაში ძირითადად ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა საბიუჯეტო ხარჯების შემცირება და ინგლისის ჯარების მომავალი. გამოყენა

კორუფციის რეჟიმი

ნიუ-იორკი, 26 იანვარი. (საკდესი). სენატორმა — დემოკრატმა ედვარდ კენედიმ, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა სამხრეთ ვიეტნამიდან, მკვეთრად გააკრიტიკა საიგონის „მთავრობა“ და ბრალად დასდო კორუფციის დანერგვა და მექრთამეობა.

ედვარდ კენედიმ, გუშინ ბოსტონში განაცხადა, იმ სახლრების ნახევარი, რომლებსაც შეერთებული შტატები გამოყოფენ საიგონის რეჟიმის დასახმარებლად, სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის მოხელეთა ჯიბეში რჩებათ. პოლიციაში, განაცხადა მან, დიდი მექრთამეობაა, ხოლო ოფიციალურ პირთა ცოლები შავ ბაზარზე ვაჭრობენ.

სენატორმა საიგონის რეჟიმის მოხელეებს ბრალად დასდო, რომ საკუთარი გამდიდრებისათვის იყენებენ საავადმყოფოებისა და ჰოსპიტლებისათვის განკუთვნილ სპეციალურ ფონდებსა და მასალებს, სამხედრო ტრანსპორტსა და სასურსათო საქონელს.

სოლიდარობა — არაგ ხალხებს!

ვარშავა, 26 იანვარი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის საგენტო გვატყობინებს, არაბულ ქვეყნებთან საერთაშორისო სოლიდარობის დღის გამო სრულიად პოლონეთის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა თანამშრომლობის კომიტეტმა პოლონეთის ახალგაზრდობის სახელით კვლავ დაგმო ისრაელის აგრესია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ.

ამ პოლიტიკას, ნათქვამია კომიტეტის განცხადებაში, აქტიურად უჭერენ მხარს შეერთებული შტატები და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები. ეს მოწმობს, რომ სულ უფრო იზრდება იმპერიალიზმის აგრესიულობა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში შეერთებული შტატების ეგრეთწოდებული გლობალური პოლიტიკის ფარგლებში, რომლის შედეგია აგრეთვე ბინძური ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ისრაელის მმართველი წრეების აგრესიულობის, დამპყრობლურ მისწრაფებათა მორიგი გამოვლინებაა ამ ქვეყნის სულ უფრო მზარდი მილიტარიზაცია, „დიდი ისრაელის“ შექმნის ბოდვითი იდეები, მკვიდრი არაბი მოსახლეობის განდევნა დაპყრობილი ტერიტორიებიდან. ეს პოლიტიკა შეუძლებელს ხდის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას.

არაბ ხალხებთან სოლიდარობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვარშავაში გაიმართა პოლონელ და უცხოელ სტუდენტთა მიტინგი. სტუდენტთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სავსებით უჭერენ მხარს არაბული ქვეყნების ბრძოლას ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ.

449-ე სერიოზული გაფრთხილება

პეკინი, 26 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იტყობინება, გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა 449-ე „სერიოზული გაფრთხილება“ გამოაქვეყნა ამერიკის თვითმფრინავების მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში საჰაერო სივრცის მორიგი დარღვევის გამო.

გადაჭრით გმოგვენ

ლონდონი, 26 იანვარი. (საკდესი). „ვინ მისცა შეერთებულ შტატებს უფლება ასრულებდეს მსოფლიოს ჟანდარმის როლს და გზავნიდეს თავის ბომბდამშენებსა და საჯაჭვეშო გემებს მსოფლიოს იმ რაიონებში, სადაც კი მოისურვებს?“, — ნათქვამია დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის განცხადებაში, რომელიც მან გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ გრენლანდის ახლოს კატასტროფა განიცადა ბომბდამშენმა „ბ-52“ და მოხდა ინციდენტი გემ „პუებლოს“ გამო, რომელიც დაეკავა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაპირებთან. რა უფლებით გზავნის ახლა ამერიკის შეერთებული შტატები თავის საესკადრო ნაღმოსნებსა და ატომურ ავიამზიდს, რითაც ახალ პროვოკაციას სჩადის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ?

განცხადებაში დადგმულია ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია, რომელმაც „იმის ნაცვლად, რომ პროტესტი განეცხადებინა ამ მოქმედების წინააღმდეგ, კვერი დაუკრა მას“.

„შეერთებულმა შტატებმა უნდა გაიყვანოს თავისი სამხედრო ბომალდები კორეის ნაპირებიდან და შეუყვანოს პატარა ქვეყნების დაშნების ცდები. მან უნდა დატოვოს ვიეტნამი და ეზიი და სამუალება მისცეს ხალხს თვითონ მოაწესრიგონ საკუთარი საქმეები“.

„ბოლო უნდა მოეღოს ატომური იარაღით აღჭურვილ ბომბდამშენთა ყოველგვარ ფრენას ინგლისში“, — ბოლოსამეული დიდი ბრიტანეთის კომპარტიის განცხადებაში. ინგლისის მთავრობამ უნდა მოსთხოვოს ამერიკის შეერთებულ შტატებს „შეწყვიტოს ამგვარი ფრენა“.

ძებნა განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდა

ლონდონი, 26 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უამინდობის გამო ჯერ-ჯერობით არ იციან, როდის განახლდება ამ ატომური ბომბების ძებნა.

როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, ფიქრობენ, რომ ერთი ან რამდენიმე ატომური ბომბი კატასტროფის დროს გიჟით და ახლა რადიაციას აკრცელებს გრენლანდის ნაპირებთან.

ინგლისი

ლონდონი, 26 იანვარი. (საკდესი). ინგლისის ლორდთა палატაში ორ დღეს მიმდინარე ოპოზიციის ლიდერებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს სოციალურ საჭიროებათა ხარჯების შემცირებას, მკვეთრად გააკრიტიკეს მთავრობა განზრახვისათვის 1970 წლამდე გამოიყვანოს ჯარები სინგაპურიდან, ძალაბიიდან და სპარსეთის ყურის რაიონიდან. კონსერვატორთა შეტევებზე ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრაუნმა, ისევე როგორც თავდაცვის მინისტრმა ჰელმ უპასუხა განცხადებით, რომ „სუეცის აღმოსავლეთით“ განლაგებული ბაზებიდან ინგლისის ჯარების მომავალი გამოყვანა გაფლენას არ მოახდენს ინგლისის შეიარაღებული ძალების ძლიერებაზე და მოითხოვა, რომ ინგლისი კვლავაც მონაწილეობდეს აგრესიულ ბლოკებში.

ახალი მიწისძვრა

რომი, 26 იანვარი. (საკდესი). გუშინ სიცილიის კუნძულს კვლავ თავს დაატყდა მიწისძვრა, რის შედეგადაც დაიღუპა ცხრა და დაშავდა დაახლოებით 50 კაცი, დაინგრა ბალერმო, ტრაპანი და სხვა ქალაქები.

გუშინდელი დღის განმავლობაში კუნძულზე აღინიშნა რამდენიმე მიწისქვეშა ბიძგი 3-დან 7 ბალამდე. მნიშვნელოვნად გაძლიერ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

რას გვპირდებიან თბილისელი გვირაბმშენებლები

თბილგვირაბმშენის კოლექტივმა, რომელიც იბრძოდა სახელმწიფო საგეგმო დავალებათა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დიდ წარმატებებს მიაღწია და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, უზრუნველყო ბევრი ობიექტის გადამდე გადაცემა ექსპლოატაციოდ. გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გეგმის გადამეტებით შეამცირა მშენებლობის ღირებულება, მიიღო ზეგეგმითი დაგროვება და ასრულებს ყველა ძირითად ეკონომიურ მაჩვენებელს.

მოლიანად თბილგვირაბმშენმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 1967 წელს 122 პროცენტით შეასრულა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოთა მთელი წლიური გეგმა თბილგვირაბმშენის კოლექტივმა შეასრულა ვადამდე, ჯერ კიდევ 20 ოქტომბერს.

თბილგვირაბმშენის ორგანიზაციებიდან გეგმის განსაკუთრებით დიდ შესრულებას მიაღწია № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელმა, რომლის უფროსია ამხ. ხ. ჭურაძე. ამ ორგანიზაციამ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულა 126 პროცენტით და საკუთარი ძალებით 118 პროცენტით. მას მხარდამხარ მიჰყვებოდა საგვირაბო რაზმი № 5 (უფროსი ამხ. ა. უურაშვილი), რომელმაც გეგმა შეასრულა 124 პროცენტით და საკუთარი ძალებით 115 პროცენტით.

ცალკეული ძირითადი დამკვეთებისა და ობიექტების მიხედვით გეგმა შესრულებულია დიდი გადაჭარბებით: მეტროპოლიტენის მშენებლობისა 126 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო მშენებლობისა —121, საკუთარი საბინაო მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისა —139, მოლიანად რესპუბლიკის ყველა ობიექტზე— 130 პროცენტით.

მაგრამ სამუშაოთა გეგმის საერთო მნიშვნელოვან გადაჭარბებასთან ერთად არის ობიექტები, რომლითაც გეგმები მთლიანად არ შესრულებულა. საგვირაბო რაზმი № 5 შუმიანის მოედანზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში ჩამორჩა 21 პროცენტით. № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელიც დამხარისხებელი ფოსტამტის მშენებლობაში ჩამორჩა 24 პროცენტით და საქმურტრესტის საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში 50 პროცენტით.

№ 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელს მცირე რაოდენობით აქვს ობიექტები, რომელთა გეგმა შეუსრულებელი დარჩა.

ჩვენმა კოლექტივებმა შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დარგში. ფაქტიურად გადაცემულია საექსპლოატაციოდ 24 ობიექტი, როცა გეგმით 14 ობიექტის გადაცემა იყო ნავარაუდევი.

მეტროს მშენებელთა კოლექტივების მთავარი მიღწევაა ის, რომ დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის ვადამდე გადაეცა საექსპლოატაციოდ მეტროპოლიტენის მეორე უბანი სადგურ „რუსთაველიდან“ „300 არაგველთამ“ სადგურამდე, რომლის სიძეა 4 კილომეტრი, და მეტროს მარცხენა ლიანდაგი დიდუბის სადგურიდან ელექტროდეპოს სადგურამდე, რომლებითაც ასეულ ათასობით თბილისელმა სწრაფი, მოხერხებული და უსაშიშრო მიწისქვეშა ტრანსპორტი მიიღო. გარდა ამისა საექსპლოატაციოდ გადაცემულია 6004 კვადრატული მეტრი ფართობის 2 საცხოვრებელი სახლი, 16 სასოფლო-სამეურნეო ობიექტი, 1 წყალსამეურნეო გვირაბი ლილოში, პასხონატი ეშერში და 2 მიწისქვეშა გადასასვლელი. ობიექტების უმრავლესობა და მათ შორის მეტროპოლიტენი გადაცემულია „ფრიადი“ შეფასებით.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ღირებულებითი გამომუშავების 1967 წლის დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული, მაგრამ მეოთხე კვარტალში საექსპლოატაციოდ გადაცემასა და დაშვებულ მოუთავებლობათა ლიკვიდაციასთან დაკავშირებით არის ერთგვარი დაუმთავრებლობა, განსაკუთრებით № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ხაზით.

შრომის ნაყოფიერებისა და გამომუშავების ზრდა მიღწეულია იმის მეოხებით, რომ მუშათა მნიშვნელოვანი რიცხვი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდების მოპოვებისათვის მოძრაობაში ჩაბმულია 1.162 კაცი ან მუშათა საერთო რიცხვის 41 პროცენტი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი და მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს გვიჩვენებენ კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გვირაბგამყვანთა ორდენოსანი ბრიგადირები, სოციალისტური შრომის ბრიგადირები გ. ობოლაძე, კ. ლიუბავსკი, ბრიგადირები ს. ბლიაძე, პ. ზადიშვილი, ტ. პავლოვი, განმმხოლოებელთა ბრიგადირები შ. დგებუაძე, ვ. კოვალი, მებეტონთა ბრიგადირი გ. კოჩიეკი, მემონტაჟეთა ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. დათაშვილი, ბრიგადირი ვ. გრიგორიანი და ბევრი სხვა.

დავალება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების შემცირების დარგში გადაჭარბებით არის შესრულებული. თერთმეტ თვეში შემცირება შეადგენდა 11,8 პროცენტს, მაშინ როცა გეგმა 9 პროცენტს ითვალისწინებდა, ე. ი. ზეგეგმითი დაზოგვება შეადგენს 287 ათას მანეთს ანუ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების 2,8 პროცენტს.

გეგმანი და ზეგეგმითი ეკონომიის მეტი ნაწილი მიღებულია მასალებისა და ზედნადები ხარჯების შემცირებით, ამასთან გვაქვს გადახარჯვა ძირითადი ხელფასის, მექანიზმების, ექსპლოატაციის და სხვა პირდაპირი დანახარჯების ხაზით.

ყველა ძირითადი საგეგმო დავალების შესრულებაში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის თბილგვირაბმშენის კოლექტივი ბევრჯერ გამოსულა გამარჯვებული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს კოლექტივებს შორის, კერძოდ, უკანასკნელ 4 კვარტალში (1966 წლის IV კვარტალი და 1967 წლის I, II და III კვარტალები). ჩვენს კოლექტივს მიეკუთვნა სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას თბილგვირაბმშენს მიეკუთვნა და სამუდამო ფლობელობაში დარჩა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს საიუბილეო-სამახსოვრო წითელი დროშა. სამახსოვრო წითელი დროშა სამუდამოდ შესანახავად მივიღეთ აგრეთვე სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი.

ამ ორგანიზაციებმა ეს ასეთი სამუშაოთა ორგანიზაციის, ტექნიკურ-ეკონომიური გეგმიერების, ტექნიკის, ტექნოლოგიის, ორგანიზაციის, ეკონომიკის, ფინანსების, ბუღალტერიის, ფასების, ხელფასების, ბანკებთან ანგარიშსწორების, ფინანსური კონტროლის, ტექნიკური უსაფრთხოებისა და ინჟინერ-ტექნიკური ინვენტარის, ტექნიკური ინფორმაციისა და ეკონომიკური ანალიზის, ეკონომიკური სტიმულირებ

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲘ

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲘᲡ წიგნში „ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ“, რომელიც „ᲜᲐᲯᲐᲓᲔᲚᲛᲐ“ „ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲚ ადამიანთა ცხოვრების“ სერიით გამოსცა, არის ერთი სიმბოლური ადგილი, იქნებ მართლა მომხდარი, იქნებ გამოგონილი, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი და საინტერესო.

ჯვრის უღელტეხილის გადმოღმა, მღვრეთის დაღმართზე, ეტლი მოდის. მეეტლეს სადავეები ჩაუბღუჯავს და გაფაციცებული ფრთხილობს, ცხენები არ დაუფრთხეს, შარს რასმა არ გადაეყაროს. თვით ეტლი ცარიელია. მეზავრი — თმა-წვერგაჟთეთრებული მოხუცი გენერალი — ძირს ჩამოსულა, კოტიტა ხელები ზურგსუკან გადაუჯვარედინებია და, შორეული მეზავრობით დაღლილ-დაქანცული, ეტლის წინ ნება-ნება მოაბიჯებს.

ქვემოთ, ამოღმართში, სწორედ ამ დროს გამოჩნდება მეორე ეტლი. კოფოზე წამოსკუპებულ მეეტლეს სადავეები მოუშვია და გაფიცხებული ცხენებიც თავდაუზოგავად მოიჩქარიან უღელტეხილისაკენ...

ეს იყო ქართული მხატვრული აზრის ორი გოლიათის პირისპირ შეყრა ორი ეპოქის და ორი სამყაროს მიჯნაზე.

ზემოდან მომავალმა მოხუცმა გენერალმა, რომელიც რუსეთის ახალგაზრდა იმპერატორის კორონაციის შემდეგ პეტერბურგიდან შინ ბრუნდებოდა, და ახლად წვერ-ულვაშშამოშლილმა ჭავჭავამ, ვისაც სტუდენტური არდადეგები შმობლიურ ეზო-კარში გაეტარებინა და ახლა გზა პეტერბურგისაკენ ედო, ერთმანეთს უბრად ჩაუარეს. პირველმა არ იცოდა, ვინ შემოხვდა გზაზე. მეორემ იცნო, მაგრამ ღრმა ფიქრებში წასულ ზეკაცს სალამიც ვერ შეაბედა, რათა ამით მისი მეფური მყუდროება არ დაერღვია.

ჭაბუკი სტუდენტი ჯერ კიდევ არ იყო „ბურთვიით მრგვალი ლიბერალი“, ხოლო დაღმართში ქვეითად და მარტოდმარტო მომავალ მოხუცს მრავალი ხიფათითა და აღმართ-დაღმართით მიღუნულ-მოღუნული გზა უკვე გავლილი ჰქონდა. შემდეგ ისინი, ქართველი ერის ეს ორი ბუმბერაზი, ბედმა თუ ისტორიულმა აუცილებლობამ არაერთხელ შეაჯახა მამათა და შვილთა ბრძოლებში, მაგრამ, როგორც რაინდ ფალვნებს შეჰფერით, ერმანეთის წინაშე კრძალვა და ღრმა ურთიერთპატივისცემა არაოდეს არ დაუკარგავთ. პირველმა ქართული მწერლობის შედეგად აღიარა „კაცია ადამიანი?!“, ხოლო მეორემ, თერგდალეულთა წარბშეუხრელმა მედროშემ, მამათა ბანაკის ზვიად წინამძღოლს გრიგოლ ორბელიანს „თვითმპყრობელი ქართული ენისა“ და „ფვალი და ახალი თაობების შემაერთებელი სიდი“ უწოდა.

სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. თავისი ცხოვრების დანიშნულება და პირადი პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე ორივეს ჩინებულად ჰქონდა შეგნებული. სწორედ ამით მოერთვნენ ამქვეყნიურ ვნებათაღელვას და ისედაც სულით მაღალნი იქამდე ამაღლდნენ, სადამდე ამაღლება მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთა ხვედრია.

ელგ. მაღრაძის წინაშე ზღვა მასალა იდო: თვით გრ. ორბელიანის ჩანაწერები, დღიურები, პირადი წერილები, ოფიციალური მიწერ-მოწერა, მოხსენებები, პატაკები, თანამედროვეთა გამოხმაურებანი, ბიოგრაფიები და, ბოლოს, პოეტის შემოქმედება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ფეოდალური არისტოკრატიის ამ უკანასკნელი მოჰიკანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ლიტერატურათმცოდნეობაში ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, თვალი ეს მასალა, ბიოგრაფიულ რომანს თუ ბელეტრიზებულ მონოგრაფიას საფუძვლად რომ უნდა დასდებოდა, მაინც გაუვალ ტყეს მიაგავს. აბა, მიდი და გიაარე! ძნელია ახსნა გრიგოლ ორბელიანის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ყოველი მხრიდან მიუდგომელი „კაცის თავდაჭერილობით განხილო და მაინც შეძლო პოეტისა და გენერლის სახე მკითხველს მონუმენტურ ერთიანობაში წარმოუდგინო. ამ მხრივ გ. ორბელიანის ცხოვრება ყველაზე უფრო რთული და შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსეა, ვიდრე რომელმემე სხვა მწერლის ბიოგრაფია მთელ ქართულ ლიტერატურაში. ეს დიდი ქართველი პოეტი და მამულიშვილი, ავტორი ლირიკული შედევრებისა — „სალამო გამოსალმებისა“, „ნეს და ეფემიას“, „მუხამაზი“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და სხვათა და სხვათა, მეორე მხრივ, ცარისტული რუსეთის წარჩინებული გენერალი და კავკასიის მთავარმართველთა მარჯვენა ხელი იყო.

უპირველეს ყოვლისა, წიგნის ფურცლებიდან მკითხველის წინაშე ცოცხალი ადამიანი, ვისთვისაც „არაფერი ადამიანური უცხო არ არის“, მოყვარე და კეთილსმდომელი მშობელი ერისა, ვინც გასაოცარი სიცხადით და წინასწარმეტყველურად გრძნობს ისტორიული პერსპექტივას — საქართველოს და მისი მფარველი რუსეთის ხვალინდელ დღეს, ვინც იცის, რომ ომებში დაბერებულმა და მოღლილმა პატარა კახეთ საშშობლოს ბედი საიმედო კალთას შეაფარა და ქვეყნისათვის თავდადებული მაშვრალი მეფე არც შემცდარა ამ არჩევანში. რა ვუყოთ, თუ ცალკეული ბნელეთის მოციქულები — მეფის უსულგულო ჩინოვნიკები — ძმობისა და სიყვარულის ნაცვლად შხამსა და სამსალას თესავდნენ „შემორიგებულ“ ქვეყნებში, რა ვუყოთ, თუ არად მიაჩნდათ ქვეშევრდომ ერთა კულტურა, მათი სულიერი და ფიზიკური ცხოვრება, ენა, რელიგია. ისინი არ ქმნიან ამინდს ისტორიაში, ისინი არ წარმოადგენენ დიდ რუსეთს, ვის ერთგულ ჯარისკაცადაც მიაჩნია თავი ქართველ პოეტს ინფანტერიის გენერალს გრიგოლ ორბელიანს. მას სწამს რუსეთი მისი უკეთესი შვილების სახით, სწამს რუსეთის მისი ბომბავლი, ისტორიული მისია და თავისი სამშობლოს — საქართველოს — ბედი ვერ წარმოუდგენია რუსეთის ბედისაგან განცალკევებულად.

სწორედ ამით უნდა აიხსნას და ამითვე ხსნის ელგ. მაღრაძე გრიგოლ ორბელიანის ხანგრძლივ და ძლევამოსილ მონაწილეობას „კავკასიის ომში“.

მეფის სამსახურში მდგომ გენერალს შექმნილი ვითარება ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა. ერთ-ერთი ასეთი გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა 1865 წელს, ზაფხულში, როდესაც თბილისელმა ქარგლებმა ამბოხება მოაწყეს და ამ ამბოხებას მხარი დაუჭირა მზრმელი მოსახლეობის ყველა ფენამ, თბილისში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლებმა. რუსეთის რეაქციულმა პრესამ დ. კერძოდ, შავრაზმელი კატკოვის „მოსკოვსკი ვედომოსტიმ“ გააფთრებული კამპანია გააჩაღეს თბილისელ მზრომელთა გამოსვლების გამო, მიაკერეს მას „ანტირუსული ამბოხების“ იარლიყი და თავიანთი ფურცლები ავსეს უსინდისო ცილისწამებით ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

„ქარგალთა ჯანყი“ სოციალური მოვლენა იყო...

ამ დროს გრ. ორბელიანი მთავარმართებელი მოგალეობას ასრულებდა. თვით მთავარმართებელი მიხეილ ნიკოლოზის-ძე თბილისში არ იყო. აჯანყების მიზეზი გახდა აუტანელი გადასახადების შემოღება, რაც დიდი მთავრის განკარგულებით მოხდა. დაწესდა გადასახადი ცხენებზე, საშენი მასალის დაწყობის უფლებაზე ქალაქის ფარგლებში, „ჯაჭის ამოღებაზე. სასმელით მოვაჭრეებს 25 პროცენტით გაუფიდდათ გადასახადი. ფუთი პურის ფასმა სამიდან ხუთ მანეთამდე აიწია. გაძვირდა შეშა. იმ წყეულ ზამთარში ქალაქის მოსახლეობა სიცივით წყდებოდა. ხმა გავრცელდა, სულ მალე საათის, ტაღლის, კატის და ვერცხლის ქამრის მფლობელებსაც დაბეგრავენო.

